სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება №01-06-02/54

ქ. თბილისი 5 ნოემბერი 2024

სტუ-ის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „გაზმომარაგების სასწავლო სამეცნიერო ცენტრის“ სახელის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის №01-05-04/171 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 5 ნოემბრის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეეცვალოს დასახელება სტუ-ის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედ „გაზმომარაგების სასწავლო სამეცნიერო ცენტრს“ და ეწოდოს „წყალბადისა და აირმომარაგების სასწავლო სამეცნიერო ცენტრი“;
2. დამტკიცდეს სტუ-ის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „წყალბადისა და აირმომარაგების სასწავლო სამეცნიერო ცენტრის“ დებულება;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**